სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 99/1

ქ. რუსთავი 25 ნოემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „რუსთავის კორპუსი" (შემდგომში – „დამკვეთი"), რომელსაც წარმოადგენს დირექტორის მ/შ – ზვიადი ლაბაძე და მეორეს მხრივ ფ/პ თარაშ ესიავა (შემდგომში "შემსრულებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის I პუნქტის „ლ" და მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტების და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის N 3182 17.11.2016 წლის განკარგულების თანახმად, ვდებთ ხელშეკრულებას (გადაუდებელი აუცილებლობა) შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - ,,ხელშეკრულება") - დამკვეთსა და შემსრულებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3 ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე"-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 ,,დამკვეთი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5,,შემსრულებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 ,,მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 1 ქ. რუსთავში საცხოვრებელი კორპუსებიში მე-15 მკრ-ნი N13 და მე-20 მკრ-ნი N15, წყალ-კანალიზაციის სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექ. ზედამხედველის მომსახურება. CPV71200000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **65.56** (სამოცდახუთი ლარი და 56 თეთრი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 ,,შემსრულებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორების ვადა: ანგარიშსწორება განხორციელდება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო დასკვნისა და მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდეგ შემსრულებელი დამკვეთს წარუდგენს ანგარიშფაქტურას და მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2 გაწეული მომსახურების მიღება განხორციელდება შესაბამისი მომსახურების დამადასტურებელი ანგარიშფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5.3 დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს ა.ა.ი.პ. – „რუსთავის კორპუსის" დირექტორი, ხოლო შემსრულებლის მხრიდან ფ/პ თარაშ ესიავა.

5.4 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

- ,,შემსრულებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების დასახელება;
- ,,შემსრულებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება;
- ,,შემსრულებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა.

6. მომსახურების მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 მომსახურების გაწევის ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან შესაბამისი საზედამხედველო ობიექტის საბოლოო დასრულებამდე.

დამკვეთი: შემსრულებელი

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 დამკვეთი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურების სრულ და ჯეროვნად მიწოდებამდე გამოითხოვოს შემსრულებლისგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2 დამკბეთი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შემსრულებლის მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 შემსრულებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული ვალდებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 შემსრულებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.1. პუნქტში;

8. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსრულებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,5% -ის ოდენობით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%, დამკვეთი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან .

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 9.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

დამკვეთი

შემსრულებელი

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

რეკვიზიტები

,, შემსყიდველი“	,, მიმწოდებელი„
ა.ა.ი.პ - „რუსთავის კორპუსი“ მის: ქ.რუსთავის, მესხიშვილის #3ა ს/კ №416289536 სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 ა.ა GE24NB0330100200165022	ფ/პ თარაშ ესიავა მის: ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზირი #16/56 პ/ნ 35001057340 ს.ს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22 ა.ა GE46 BG00 0000 0124 1109 00
დირექტორის მ/შ: ზვიად ლაზაძე	ფ/პ თარაშ ესიავა
ზვიად ლაზაძე	*თარაშ ესიავა*